


ბიჰევიორიზმი

დასწავლის თეორიები

"Give me a dozen healthy infants, well-formed, and my own specified world to bring them up in and I'll guarantee to take any one at random and train him to become any type of specialist I might select – doctor, lawyer, artist, merchant-chief, and, yes, even beggarman and thief, regardless of his talents, penchants, tendencies, abilities, vocations, and race of his ancestors" – John B. Watson, *Behaviorism*, 1930

სარჩევი

ივან პავლოვის კლასიკური განპირობების თეორია 3

კლასიკური განპირობების პრინციპები 4

ფსიქოპათოლოგია და ცვლილება 7

ედვარდ ლი თორნდაიკის დასწავლის თეორია – კონექციონიზმი 8

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები 8

ძირითადი წვლილი 8

ინტელექტი თორნდაიკთან 11

ჯონ ბრაადუს უოტსონის ბიჰევიორიზმი 12

კლასიკური განპირობების პრინციპების პრაქტიკული გამოყენება 17

პირობითი ემოციური რეაქციები 17

კურდღლის შიშის გადაჩვევა 19

კლასიკური განპირობების პრინციპების სხვა გამოყენებები 20

სისტემატური დესენსიტიზაცია 21

პატარა ჰანსის შემთხვევის რეინტერპრეტაცია 23

თეორიის შემდგომი განვითარება 24

Bibliography 26

პიროვნებისა და მეცნიერების ხედვა დასწავლის თეორიის პოზიციიდან

პიროვნების მიმართ დასწავლის თეორიის პოზიციის გასაგებად მზად უნდა ვიყოთ ახალი დაშვებების მისაღებად და კვლევის განსხვავებული სტრატეგიების განხილვისთვის. დასწავლის თეორიის მიდგომა პიროვნებისადმი ორ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა:

1. თითქმის ყველა ქცევის ათვისება დასწავლის შედეგად ხდება;
2. წარმატების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ობიექტურობა და მეცნიერული სიმკაცრე მკაფიოდ ფორმულირებული ჰიპოთეზების შემოწმებისას (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი მომენტები, რომლებიც ხაზგასმულია პიროვნებისადმი დასწავლის თეორიის მიდგომაში.

1. ემპირიული კვლევა – თეორიისა და პრაქტიკის ქვაკუთხედი.
2. პიროვნების თეორია და გამოყენებითი პრაქტიკა დასწავლის პრინციპებზე უნდა აიგებოდეს.
3. ქცევა წარმოადგენს განმამტკიცებელზე რეაქციას, რომელიც გარემოში მდებარეობს და ის უფრო სიტუაციურად სპეციფიკური და კონკრეტულია, ვიდრე ამას პიროვნების სხვა თეორიები (მაგალითად, ნიშნების თეორია და ფსიქოანალიზი) ვარაუდობდნენ.
4. უარი სამედიცინო წარმოდგენას ფსიქოპათოლოგიის, როგორც „სიმპტომი-ავადმყოფობის“, შესახებ და ამის ნაცვლად ორიენტაცია დასწავლის ბაზისურ პრინციპებსა და ქცევის ცვლილებაზე.

თუ აიზენკი და კეტელი დასწავლას პიროვნების შესწავლის უფრო ფართო სფეროს ნაწილად მიიჩნევდნენ, თეორიული მიმართულებები, რომლებიც დასწავლის მიდგომის ფარგლებში განიხილება, მომდინარეობენ იქიდან, რომ, პირიქით, პიროვნების შესწავლა – ეს არის დასწავლის ზოგადი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი განშტოება. მაგალითად, ფსიქოპათოლოგია გაიგება, როგორც არაადაპტური ქცევის ათვისება ანდა როგორც მარცხი ადაპტური ქცევის ათვისებისას. იმის ნაცვლად, რომ ისაუბრონ ფსიქოთერაპიაზე, დასწავლის თეორიის მომხრეები საუბრობენ *ქცევის მოდიფიკაციასა* და *ქცევით თერაპიაზე*. საჭიროა კონკრეტული მოქმედებების მოდიფიცირება ანუ შეცვლა ნაცვლად იმისა, რომ გადავჭრათ შინაგანი კონფლიქტები, რომლებიც ამ ქმედებებს უდევს საფუძვლად, ანდა მოვახდინოთ პიროვნების რეორგანიზაცია. ვინაიდან პრობლემური ქცევის დიდი ნაწილი ოდესღაც იქნა ათვისებული ანუ დასწავლილი, შესაძლებელია მათი „გადასწავლა“ ან რამენაირად შეცვლა, რისთვისაც გამოიყენება დასწავლის კანონებზე დაყრდნობით აგებული სპეციალური პროცედურები.

ამ მიდგომების კიდევ უფრო არსებითი ნიშანია ორიენტაცია ობიექტურობასა და სამეცნიერო სიმკაცრეზე, ჰიპოთეზების შემოწმებადობასა და ცვლადების ექსპერიმენტულ კონტროლზე. ამან გამოიწვია ის, რომ ქცევის შესწავლის ძირითად ადგილად ლაბორატორია იქცა, რთულის ნაცვლად მარტივ დაკვირვებას ენიჭება უპირატესობა, ცდის პირებად კი გამოიყენება ცხოველები, როგორებიცაა ვირთხები და მტრედები. ობიექტური ცვლადების დეტალურად გაწერილ მანიპულაციებზე შემდგომმა ორიენტაციამ გამოიწვია აქცენტის გადანაცვლება ორგანიზმისთვის *გარეგან* ძალებზე, *შინაგანი* ძალებისგან განსხვავებით. დასწავლის თეორიების მიხედვით, ჩვენ ვმანიპულირებთ გარემოთი და ვაკვირდებით ამ მანიპულაციის შედეგებს, რომლებიც ქცევაზე აისახება. თუ ფსიქოდინამიკური თეორიები გამოყოფენ ქცევის მიზეზებს, რომლებიც ორგანიზმში იმალება (მაგალითად, ინსტინქტებს, დაცვის მექანიზმებს, მე-კონცეფციას), დასწავლის

თეორიები ხაზს უსვამენ მიზეზებს, რომლებიც ორგანიზმის გარე სამყაროში არსებობენ. ყურადღების ცენტრში დგება გარეგანი სტიმულები, რომლებითაც შესაძლებელია ექსპერიმენტის მსვლელობისას მანიპულირება, როგორიცაა, მაგალითად, საკვებით დაჯილდოვება, ისეთი ცნებებისგან განსხვავებით, რომლითაც შეუძლებელია მანიპულირება, როგორიცაა, მაგალითად, მე-კონცეფცია (self), მე (ego) და არაცნობიერი.


უპირატესობა, რომელსაც ბიჰევიორიზმი ანიჭებს გარეგან, გარემოს დეტერმინანტებს, ასევე, უკავშირდება აქცენტს ქცევის *სიტუაციურ სპეციფიკურობაზე*. ნაცვლად იმისა, რომ აღიარონ სტაბილური მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება სიტუაციათა ფართო დიაპაზონში და რომელზეც ეყრდნობიან ნიშნების თეორია და ფსიქოდინამიკური თეორია, ბიჰევიორისტები თვლიან, რომ ქცევის როგორი თანმიმდევრულობაც არ უნდა შეიმჩნეოდეს, ეს მხოლოდ გარემო პირობების მსგავსების შედეგია, რომლის გამოც წარმოიქმნება ეს ქმედებები.

ივან პავლოვის კლასიკური განპირობების თეორია



ივან პეტრეს ძე პავლოვი (1849-1936) რუსი ფიზიოლოგი იყო, რომელმაც საჭმლის მონელების პროცესის კვლევისას შეიმუშავა ქცევის შესწავლის მეთოდი და დასწავლის პრინციპები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მთელ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში პავლოვი ძაღლებში კუჭის სეკრეციას სწავლობდა მათ ჯირკვლებსა და საჭმლის მომნელებელ ორგანოებში მილების ჩადგმით (სურათი N 1 და N2). იგი ამ ტექნიკით გამოყოფილი სეკრეტის რაოდენობის განსაზღვრასა და გაანალიზებას შეძლებდა. სეკრეციის გამოსაწვევად პავლოვის ასისტენტი ძაღლს პირში დამუშავებულ ხორცს უდებდა. ეს პროცედურა გარკვეული რაოდენობით მეორდებოდა (გერიგი, 2009).


სურათი N 1. პავლოვის ექსპერიმენტული სიტუაციის სქემატური გამოსახულება.



პავლოვმა შემთხვევით მიაქცია ყურადღება იმას, რომ საკვების მიწოდების რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ძაღლს ნერწვი გამოეყოფოდა გარკვეულ სტიმულებზე ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საკვები მის პირში მოხვდებოდა. ნერწყვის გამოყოფა ხდებოდა ისეთ სტიმულებზე, როგორიც იყო საკვებით სავსე ჯამის გამოჩენა ანდა ის ადამიანი, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, მიჰქონდა საკვები (Первин Л., 2002). მეტიც, გარკვეული დროის შემდეგ ძაღლა მის ფეხის ხმაზეც კი დაიწყო ნერწყვის გამოყოფა. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი სტიმული, რომელიც სისტემატურად წინ უსწრებდა საჭმლის მიღებას და თავდაპირველად არ იწვევდა

არანაირ რეაქციას, შემდგომში ნერწყვის გამოყოფას იწვევდა იმის გამო, რომ ასოცირდებოდა საკვებთან, რომელიც ავტომატურად აიძულებდა ძაღლს, ნერწყვი გამოეყო (Первин Л., 2002; გერიგი, 2009). ამრიგად, პავლოვმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ დასწავლა ერთმანეთთან ასოცირებული ორი სტიმულის შედეგია.

სურათი N 2. პავლოვი თავის ლაბორატორიაში ცნობილ ძაღლთან ერთად.




პავლოვში, როგორც მეცნიერში, ამ ფენომენისადმი ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. მან ყურადღება არ მიაქცია იმ პერიოდისთვის დიდი ფიზიოლოგის სერ ჩარლზ შერინგტონის რჩევას, რომ თავი დაენებებინა ამ სულელური ახირებისთვის. პავლოვმა მიატოვა თავისი კვლევა სეკრეციისა და საჭმლის მონელების შესახებ და ამით სამუდამოს შეცვალა ფსიქოლოგიური აზროვნების მიმართულება. მან აღმოაჩინა პროცესი, რომელსაც კლასიკური პირობითი რეფლექსის გამომუშავება ანუ კლასიკური განპირობება ეწოდა (Первин Л., 2002). მთელი დანარჩენი სიცოცხლე ის აგრძელებდა იმ ცვლადების ძებნას, რომლებიც გავლენას ახდენენ კლასიკურად განპირობებულ ქცევაზე. კლასიკურ განპირობებულობას პავლოვისეულსაც უწოდებენ, ვინაიდან სწორედ მან აღმოაჩინა ეს ფენომენი და 1904 წელს ამისათვის ნობელის პრემიაც მიიღო (გერიგი, 2009).

კლასიკური განპირობების პრინციპები

პავლოვის მნიშვნელოვანმა კვლევითმა გამოცდილებამ მას საშუალება მისცა, მარტივი გეგმა აერჩია ძაღლებში ნეწრწყვის გამოყოფის განპირობებისთვის. ექსპერიმენტის მსვლელობისას ძაღლი საგანგებო მოწყობილობაში იყო მოთავსებული (სურათი N3), რომელშიც რეგულარული ინტერვალებით იღებდა სტიმულს ზარის სახით, რის შემდეგაც გარკვეული რაოდენობის საკვებს აძლევდნენ. აღსანიშნავია, რომ ძაღლისთვის თავდაპირველად არანაირი კავშირი არ არსებობდა ზარსა და საკვებს შორის. ერთადერთი რეაქცია ზარის პირველად გაგონებაზე, საორიენტაციო რეფლექსი იყო – ძაღლმა ყურები დაცქვიტა და თავი მიატრიალა ხმის წყაროსკენ. თუმცა, ზარისა და საკვების მიწოდების განმეორებითმა დაწყვილებამ გამოიწვია საორიენტაციო რეფლექსის შეწყვეტა და ნერწყვის გამოყოფა. ფენომენი, რასაც პავლოვი თავის ადრინდელ კვლევებში აკვირდებოდა, შემთხვევითი არ იყო. ის შეიძლება კონტროლირებული პირობებით ყოფილიყო გამოწყვეული. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ზოგადი ეფექტი იყო, პავლოვმა ზარის გარდა მრავალგვარი სტიმული გამოიყენა, როგორიცაა ნათურა, ეჟვანი და მეტრონომი (გერიგი, 2009).


სურათი N 3. პავლოვის ლაბორატორია.



კლასიკური განპირობებულობის ბირთვად რეფლექსები უნდა ჩაითვალოს. რეფლექსი არის დაუსწავლელი პასუხი, რეაქცია, მაგალითად, ნერწყვის გამოყოფა, თვალების ხამხამი და ა. შ. ყველა რეფლექსი ბუნებრივად გამოიწვევა სპეციფიკური სტიმულით, რომელიც ბიოლოგიურად აქტუალურია ორგანიზმისთვის. ნებირმიერ სტიმულს, რომელიც ბუნებრივად იწვევს რეფლექსურ ქცევას უპირობო ანუ განუპირობებელი სტიმული ეწოდება, ვინაიდან სწავლა არ არის სტიმულის კონტროლისთვის აუცილებელი პირობა. ქცევა, რომელიც გამოწვეულია უპირობო ანუ განუპირობებელი სტიმულით, უპირობო ანუ განუპირობებელი ქცევაა (გერიგი, 2009).

ამრიგად, კლასიკური განპირობების არსი ისაა, რომ თავდაპირველად ნეიტრალური სტიმული იწყებს რეაქციის გამოწვევას იმის გამო, რომ ასოციაციურად უკავშირდება იმ სტიმულს, რომელიც ავტომატურად (უპირობოდ) იწვევს ასეთსავე ანუ მსგავს რეაქციას. სხვა სიტყვებით, ძაღლი ნერწყვს გამოყოფს საკვების პირველივე ულუფაზე, როგორც კი ის პირში ხვდება. ამ შემთხვევაში არანაირი საჭიროება არ არსებობს, რომ რაიმე განპირობებაზე ანდა დასწავლაზე ვისაუბროთ. საკვები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც *უპირობო სტიმული*, ხოლო ნეწყვის გამოყოფა – *უპირობო რეაქცია* ანდა *უპირობო რეფლექსი* (სურ. N1), ვინაიდან ნერწყვის გამოყოფა ავტომატური, რეფლექტორული რეაქციაა საკვებზე (Первин Л., 2002). ტიპური კლასიკური განპირობების ექსპერიმენტში ნეიტრალური სტიმული, მაგალითად, ზარი ან სინათლე, რომელსაც არანაირი მნიშნველობა არ აქვს რეფლექსური ქცევისთვის, რამდენჯერმე მეორდება უშუალოდ საკვების მიწოდების წინ. შედეგად ამ მანამდე ნეიტრალურმა სტიმულმა (ამ შემთხვევაში ზარმა ან სინათლემ) შეიძლება გამოიწვიოს იგივე (ამ შემთხვევაში ნერწყვის გამოყოფის) რეაქცია უპირობო სტიმულის (ამ შემთხვევაში საკვების) წარდგენის გარეშეც კი. ნეიტრალურ სტიმულს, დაწყვილებულს განუპირობებელ სტიმულთან, *პირობითი* ანუ *განპირობებული სტიმული* ეწოდება, რადგან მისი უნარი, გამოიწვიოს ქცევა, დამოკიდებულია განუპირობებელ ანუ უპირობო სტიმულთან ასოციაციაზე. რამდენიმე ცდის შემდეგ განპირობებულ ანუ პირობით სტიმულს მოჰყვება რეაქცია, რომელსაც *პირობითი* ანუ *განპირობებული რეაქცია* ეწოდება (სურათი N4). ძალიან ხშირად განპირობებული რეაქცია ჰგავს განუპირობებელ რეაქციას. მაგალითად, პავლოვის ძაღლისთვის ორივე რეაქცია ნერწყვის გამოყოფა იყო. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში განპირობებული ანუ პირობითი რეაქცია ბევრად განსხვავდება განუპირობებელი ანუ უპირობო რეაქციისგან: განპირობებული რეაქცია

სურათი N 4. პირობითი ანუ განპირობებული რეაქციის ჩამოყალიბება.



წარმოადგენს ნებისმიერ პასუხს, რაც, თავის მხრივ, დასწავლის შედეგია (გერიგი, 2009).

ანალოგიურად შეიძლება პირობითი თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება თავდაპირველად ნეიტრალურ სტიმულებზე. განპირობებული თავდაცვითი რეაქციების პირველ კვლევებში ძაღლს სპეციალურ აღვირს უკეთებდნენ, რათა დაეკავებინათ სადგომზე, თათზე კი ელექტროდებს ამაგრებდნენ. თათზე ელექტროდენის მიწოდება (უპირობო სტიმული) იწვევდა თათის გაწევის რეაქციას (უპირობო რეფლექსი), რაც ცხოველის რეფლექსურ რეაქციას წარმოადგენდა. თუ უშუალოდ დენის დარტყმის წინ რამდენჯერმე დარეკავს ზარი, მაშინ ხმა (პირობითი სტიმული) თანდათანობით თავად შეძლებს თავდაცვითი რეფლექსის გამოწვევას ანუ თათის გაწევას (პირობითი რეფლექსი).

პავლოვის მიერ შემუშავებულმა ექსპერიმენტულმა პროცედურამ, რომელიც მოწოდებულია კლასიკური განპირობების შესწავლისთვის, მას მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფენომენების შესწავლის შესაძლებლობა მისცა. მაგალითად, პირობითი რეფლექსი მხოლოდ კონკრეტულ ნეიტრალურ სტიმულთან ასოცირდება თუ სხვა მსგავს სტიმულებთანაც? პავლოვმა აღმოაჩინა, რომ პირობითი რეფლექსი, რომელიც თავდაპირველად ერთი ნეიტრალური სტიმულის საპასუხოდ წარმოიქმნა, შემდგომში ასოცირდება სხვა მსგავს სტიმულებთანაც. ამ პროცესს *გენერალიზაცია* ეწოდა. სხვა სიტყვებით, ზარის საპასუხოდ ნერწყვის გამოყოფის რეაქცია სხვა ხმებზეც გენერალიზირდება ანუ გაზოგადდება. სწორედ ასევე, ზარზე თავდაცვითი რეაქცია გავრცელდება სხვა ხმებზეც, რომლებიც ძაღლს ზარის ხმას აგონებენ.

აქვს თუ არა ასეთ გენერალიზაციას რაიმე საზღვრები? თუ მრავალჯერ განმეორებად ცდებში უპირობო გამღიზიანებელი მხოლოდ *ზოგიერთ* ნეიტრალურ სტიმულს მოჰყვება, მაშინ ცხოველი არჩევს სტიმულებს შორის განსხვავებას და ამ პროცესს *დიფერენციაციას* ანუ *სტიმულის დისკრიმინაციას* უწოდებენ. მაგალითად, თუ მხოლოდ ზოგიერთ ხმას მოჰყვება დენის დარტყმა და თათის რეფლექსური გაწევა, მაშინ ძაღლს შეუძლია დაისწავლოს იმ ბგერების ერთმანეთისგან განსხვავება, რომელსაც მოჰყვება დენის დარტყმა და რომელსაც არ მოჰყვება (Первин Л., 2002). ამრიგად, სტიმულის დისკრიმინაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზმი სწავლობს, განსხვავებული რეაქცია ჰქონდეს ერთი და იმავე სახის განსხვავებულ სტიმულებზე (მაგალითად, განსხვავება წყალსა და ზეთს შორის). ორგანიზმის მიერ სტიმულის დისკრიმინაციის დასწავლა შეიძლება ექსპერიმენტული პროცესით, რომლის დროსაც სხვადასხვა ინტენსივობის ზარის შემთხვევაში მხოლოდ, მაგალითად, 1200 ჰერცი სიხშირის ზარს მოჰყვება განუპირობებელი ანუ უპირობო სტიმული, ხოლო სხვები მის გარეშე მეორდებიან. განპირობების პირველ ეტაპზე განპირობებული სტიმულის მსგავსი სტიმული წარმოშობს მსგავს, თუმცა არც ისე ძლიერ, რეაქციას. დისკრიმინაციის ტრენინგის გაგრძელებასთან ერთად იკლებს რეაქცია სხვა მსგავს სტიმულებზე. ორგანიზმი თანდათან სწავლობს, თუ რომელი სტიმული მოასწავებს განუპირობებელ სტიმულს და რომელი – არა (გერიგი, 2009).

ამრიგად, გენერალიზაციის პროცესს მსგავს სტიმულებზე რეაქციის შეთანხმებულობისკენ მივყავართ, ხოლო დიფერენციაციის პროცესს – რეაქციების მეტი სპეციფიკურობისკენ (Первин Л., 2002). ორგანიზმმა ქცევა რომ ოპტიმალურად, საჭირო დროსა და ადგილზე განახორციელოს, უნდა არსებობდეს ბალანსი სტიმულის დისკრიმინაციასა და განზოგადებას შორის. არ არის საჭირო, ბევრი დრო დაემთმოს სტიმულის

დისკრიმინაციას. ამასობაში, შესაძლოა ცხოველს გამორჩეს მტაცებლის არსებობა და არც ზედმეტი რეაქციაა საჭირო, რათა ყველა ჩრდილი არ აშინებდეს მას. კლასიკური განპირობებულობა ორგანიზმს უზრუნველყოფს მექანიზმით, რომელიც საშუალებას აძლევს მას, შესაბამისად რეაგირებდეს გარემოს პირობებზე (გერიგი, 2009).

გარდა ამისა, თუ პირობით სტიმულს ზოგჯერ მაინც არ მოსდევს უპირობო სტიმული, მაშინ განპირობება თანდათანობით სუსტდება ანუ სუსტდება კავშირი სტიმულებს შორის – იწყება პროცესი, რომესაც *ჩაქრობას* უწოდებენ. თუ ნეიტრალური სტიმულისა და უპირობო სტიმულის ასოციაციას პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, მაშინ პირობითი სტიმულის მრავალჯერადი მიწოდება უპირობო სტიმულის გარეშე იწვევს პირობითი რეფლექსის ჩაქრობას. ამიტომ, იმისათვის, რომ ძაღლმა განაგრძოს ზარზე ნერწყვის გამოყოფა, აუცილებელია, რომ ის დროდადრო მაინც შეწყვილდეს საკვებთან (Первин Л., 2002).

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითები ცხოველებზე ცდებიდან არის აღებული, ეს პრინციპები ადამიანების მიმართაც გამოიყენება. მაგალითად, ავიღოთ ბავშვი, რომელიც ძაღლმა დაკბინა და ძალიან შეაშინა. ბავშვის შიში მოცემული ძაღლისადმი შეიძლება ყველა ძაღლზე გავრცელდეს (გენერალიზაციის პროცესი). დავუშვათ, ვინმეს დახმარებით ბავშვმა დაიწყო სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ერთმანეთისგან განსხვავება და ახლა მხოლოდ გარკვეული ჯიშის ძაღლების ეშინია. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დიფერენცირების ანუ დისკრიმინაციის პროცესს გავადევნოთ თვალი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბავშვმა შეიძლება შეიძინოს ძაღლებთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება, რაც შიშის რეაქციის ჩაქრობამდე მიგვიყვანს. ამგვარად, განპირობების კლასიკური მოდელი შეიძლება ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს მრავალი ემოციური რეაქციის განვითარების, შენარჩუნებისა და გაქრობის გაგებისთვის (Первин Л., 2002).

ფსიქოპათოლოგია და ცვლილება

გენერალიზაციის, დისკრიმინაციისა და ჩაქრობის პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც კლასიკური განპირობების თეორიაში, ისე – დასწავლის სხვა თეორიებში. ამ ფენომენებთან მუშაობის გარდა, პავლოვმა განახორციელა კვლევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ფენომენების ახსნისთვის, როგორიცაა კონფლიქტი და ნევროზების განვითარება. პავლოვის ლაბორატორიაში პირველად აჩვენეს ის, რასაც შემდგომში ცხოველებში *ექსპერიმენტული ნევროზი* ეწოდა. ძაღლს გამოუმუშავეს ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსი წრის ფორმის სიგნალზე. შემდეგ გამოუმუშავეს დისკრიმინაცია წრესა და ელიფსს შორის, ვინაიდან არ ხდებოდა ელიფსზე რეაქციის განმტკიცება. როდესაც დაიწყეს ელიფსის ფორმის თანდათანობით შეცვლა და ნელ-ნელა წრეს დაამსგავსეს, ძაღლმა ჯერ დიფერენცირება დაიწყო, მაგრამ შემდეგ, როცა შეუძლებელი იყო წრისა და ელიფსის ერთმანეთისგან გარჩევა, მისი ქცევა სრულიად დეზორგანიზებული გახდა. პავლოვმა ეს მოვლენა ასე აღწერა:

> დისკრიმინაციული სტიმულის შემუშავებაზე სამკვირიანი მუშაობის შემდეგ ის კი არ გაუმჯობესდა, არამედ არსებითად გაუარესდა კიდეც და ბოლოს-ბოლოს, საერთოდ გაქრა. მანამდე მშვიდმა ძაღლმა დაიწყო ღრენა და

სადგომიდან აწყვეტას ლამობდა; ცდილობდა, კბილებით გადაეღრღნა კანის მექანიკური სტიმულაციისთვის განკუთვნილი მოწყობილობა და მოეკბიჩა მილები, რომლებიც მის სამყოფს ექსპერიმენტატორთან აკავშირდებდა. ასე ის არასოდეს მოქცეულა. მას შემდეგ, რაც ეს ძაღლი საექსპერიმენტო ოთახში შემოჰყავდათ, ის მრისხანედ იღრინებოდა, რაც, ასევე, არ ჰგავდა მის ჩვეულ ქცევას. ერთი სიტყვით, სახეზე იყო მწვავე ნევროზის ყველა სიმპტომი. *წყარო: Pavlov, 1927. P. 291 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002.*

ედვარდ ლი თორნდაიკის დასწავლის თეორია – კონექციონიზმი



ედვარდ თორნდაიკი (Edward L. Thorndike, 1874-1949) სამართლიანად ითვლება დასწავლის პრობლემატიკის ერთ-ერთ პირველ მკვლევრად და ბიჰევიორიზმის ერთ-ერთ წინამორბედად, თუმცა ის თავის მოსაზრებათა სისტემას *კონექციონიზმს* უწოდებდა. კონექციონიზმი ადამიანისა და ცხოველის დასწავლის ზოგად თეორიას წარმოადგენს.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

- პედაგოგიკის ასისტენტ-პროფესორი დასავლეთ რესერვის უნივერსიტეტში (1898);
- მასწავლებელთა კოლეჯის აკადემიური პერსონალის წევრი, კოლუმბიის უნივერსიტეტი (1899-1940);
- ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1912);
- ფსიქომეტრული საზოგადოების მეორე პრეზიდენტი;
- მეცნიერების განვითარების ამერიკული ასოციაციის პრეზიდენტი (1934);
- ლექტორი ჰარვარდის უნივერსიტეტში (1842-1943).

ძირითადი წვლილი

- 55 წლიანი კარიერის მანძილზე თორნდაიკმა გამოაქვეყნა დაახლოებით 500 წიგნი და სტატია, რომელიც ეხება დასწავლას თევზებში, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს და ურბანულ ცხოვრებაში ესთეტიკურის ხარისხის ელემენტებს.
- სწავლობდა ცხოველების ინტელექტს (ცნობილია მის „პრობლემურ ყუთში კატების“ ექსპერიმენტები ცდასა და შეცდომებზე);
- იყენებდა ცხოველებს ადამიანის განათლების გამოცდილებისთვის. ის პირველი იყო ამ სფეროში.
- შექმნა ბავშვების ხელნაწერების გაზომვის სკალა (1910) და ინგლისური ენის სიტყვების სიხშირის ცხრილი (1944).

თორნდაიკის გატაცება ფსიქოლოგიით უილიამ ჯემსის მოძღვრებამ განპირობა. ის ჯემსის ლექციების მოსასმენად ჰარვარდში გაემგზავრა და შემდგომში მისი ნაყოფიერი და ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა, ძირითადად, სწორედ ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებს დაუკავშირდა და დასწავლის

კანონზომიერებების შესწავლასა და მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვას მიეძღვნა[1] (იმედაძე, 2004). ამ პერიოდით თარიღდება მისი პირველი ექსპერიმენტები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა, ვინაიდან ისინი არ ჩათვალეს მეცნიერულად. ამ ექსპერიმენტებში ცდის პირებად სკოლამდელი ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტის არსი ის იყო, რომ ექსპერიმენტატორი ჩაიფიქრებდა სიტყვას, საგანს ან რიცხვს. ბავშვს უნდა გამოეცნო ჩაფიქრებული. სწორი გამოცნობა შოკოლადით ჯილდოვდებოდა. ამ ჯილდოთი ხდებოდა აღქმის ზღურბლის დაწევა ანუ მგრძნობელობის გაზრდა. მას მიაჩნდა, რომ შინაგან აზროვნებას უნდა გამოეწვია ცვლილება სამეტყველო აპარატის კუნთებში, რომელსაც, როგორც წესი, არ აცნობიერებს ინდივიდი და ვერ ამჩნევს გარეშე დამკვირვებელი. თორნდაიკს აინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა აღქმის მგრძნობელობის გაზრდა რაიმე მექანიზმით. კვლევაში ის დაინტერესებას ანუ განმტკიცებას იყენებდა. ამრიგად, მან კვლევაში შემოიტანა დადებითი განმტკიცების ფაქტორი.

უნივერსიტეტმა თორნდაიკს აუკრძალა ასეთი ტიპის ექსპერიმენტების ჩატარება. ამის შემდეგ მან ცხოველების კვლევაში გადაინაცვლა. ის პირველ ექსპერიმენტებს წიწილებზე ატარებდა, რომლებიც ლაბირინთიდან უნდა გამოსულიყვნენ. ლაბირინთი ჯემსის სახლის სარდაფში იყო მოწყობილი.

თორნდაიკი ჰარვარდიდან კოლუმბიის უნივერსიტეტში გადავიდა ჯეიმს კეტელთან და კატებსა და ძაღლებზე დაიწყო ექსპერიმენტები. სწორედ აქ შეიქმნა პირველად მისი ცნობილი ე. წ. პრობლემური ყუთი (იხ. სურათი N 5. თორნდაიკის პრობლემური ყუთი.). ამ ყუთში ცხოველების ქცევის გრაფიკული გამოსახულების მრუდის ანალიზით თორნდაიკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ცხოველი მოქმედებს ცდისა და შეცდომის მეთოდით და წარმატებამდე (ბერკეტზე თათის დაჭერამდე და კარის გაღებამდე) შემთხვევით მიდის. ქცევის მრუდი მკვეთრად არასოდეს ეცემოდა, რაც აფიქრებინებდა მას, რომ ცხოველი აზრს კი არ წვდება, არამედ შემთხვევით გადაწყვეტამდე მიდის.

სურათი N 5. თორნდაიკის პრობლემური ყუთი.




FIG. 1.

1898 წელს თორნდაიკმა დაასრულა მუშაობა სადისერტაციო ნაშრომზე, რომელიც ცხოველთა ინტელექტის ანუ დასწავლისუნარიანობის კვლევას ეძღვნებოდა და რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მისი სისტემის ძირითადი პრინციპები.

კვლევის შედეგები თორნდაიკმა პირველად 1898 წელს გამოაქვეყნა სტატიაში „ინტელექტი ცხოველებთან: ასოციაციური პროცესების კვლევა ცხოველებში“, რომელშიც იგი ისეთ ტერმინებს და ტრადიციურ ცნებებს იყენებს, როგორიცაა ინტელექტი, ასოციაციური კავშირი და ა. შ. აქ კონცეპტუალური სისტემა და ცნებები იგივეა, მაგრამ მათში ახალი შინაარსია ჩადებული.

[1] თორნაიკი თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლება.

თავის სისტემას ის დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ხვეწდა. ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებზე დაყრდნობით ცვლიდა ზოგიერთ თეორიულ დებულებას და, რაც მთავარია, ცხოველების კვლევით დადგენილი კანონზომიერებების ადამიანებზე და, კერძოდ, დასწავლის ქცევაზე, გადატანას ცდილობდა. ასეთი გადატანის მართებულობა თორნდაიკში ეჭვს არ იწვევდა, ვინაიდან ვერ ხედავდა თვისობრივ განსხვავებას ცხოველსა და ადამიანში მიმდინარე დასწავლის პროცესებს შორის (იმედაძე, 2004). ეს მიდგომა, ფაქტიურად ზოგადად დამახასიათებელია დასწავლის ბიჰევიორისტული თეორიისათვის, ხოლო ამ თეორიის პირველი ვარიანტი კი სწორედ თორნდაიკს ეკუთვნის (იმედაძე, 2004).

თორნდაიკისთვის ამოსავალი პრინციპი იყო პრობლემური სიტუაცია ანუ გარემო, რომელთან შეგუებისთვის ცხოველს არ გააჩნდა საპასუხო რეაქციების მზა ფორმულა. კავშირი სიტუაციასა და რეაქციას შორის შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: (1) ათვლის წერტილია პრობლემური სიტუაცია; (2) პრობლემურ სიტუაციას უპირისპირდება ორგანიზმი, როგორც ერთი მთლიანი; (3) ცხოველი აქტიურია ძიებისას; (4) დასწავლა ხორციელდება ვარჯიშის გზით.

თუ კარგად დავაკვირდებით, თორნდაიკი დეტერმინიზმისკენ უფრო იხრება, ვიდრე ტელეოლოგიური კონცეფციისკენ, მაგრამ მისი დეტერმინიზმი არ არის მექანიკური. ის უფრო დარვინის ტიპის ალბათური დეტერმინიზმის მომხრე იყო, მაგრამ მისეული „ბუნებრივი შერჩევა ანუ გადარჩევა“ სახეობის ევოლუციისგან განსხვავებულ საფუძვლებს ემყარებოდა.

თორნდაიკის თანახმად, დასწავლა არის *კავშირის* (connection) დამყარება მოქმედებას (რეაქციას) და სიტუაციას (სტიმულს) შორის[2]. თავად ტერმინის *კავშირის* განსაზღვრა ასეთია: კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის არსებობს მაშინ, თუ მოცემულ სტიმულზე პასუხის აღმოცენების ალბათობა ნულზე მეტია. იმისათვის, რომ წარმოიქმნას S-R კავშირი, უნდა არსებობდეს გარკვეული პირობები, რომელთაც თორნაიკი ე.წ. *დასწავლის კანონების* სახით აყალიბებს. ეს არის სამი კანონი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (იმედაძე, 2004):

- *ეფექტის* კანონი – როდესაც სიტუაციასა და საპასუხო რეაქციას შორის კავშირის დამყარების პროცესს თან სდევს ან ცვლის სიამოვნების მდგომარეობა, მაშინ კავშირის სიმტკიცე იზრდება. როდესაც ამ კავშირს თან სდევს ან ცვლის უსიამოვნების მდგომარეობა, მაშინ მისი სიმტკიცე მცირდება. ამასთან, სასიამოვნოდ მიიჩნევა მდგომარეობა, რომლის გამოწვევასა და შენარჩუნებას ესწრაფვის ორგანიზმი, ხოლო უსიამოვნოდ – მდგომარეობა, რომელსაც ორგანიზმი ცდილობს, რომ განერიდოს. ასე რომ, ეფექტი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი ეფექტი აძლიერებს და განამტკიცებს კავშირს, უარყოფითი კი ასუსტებს ანდა სულაც აქრობს მას. ამრიგად, ეფექტის კანონის თანახმად, ცდა და შეცდომა თავისთავად კი არ განაპირობებს ქცევას, არამედ ორგანიზმის გარკვეული შინაგანი პოლარული მდგომარეობებით (კომფორტი-დისკომფორტი) ხდება მისი დეტერმინირება.

[2] სწორედ აქედან მომდინარეობს სახელი *კონექციონიზმი*.

- *ვარჯიშის* კანონი – ასახავს კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც S-R კავშირის სიმტკიცე გამეორებათა რაოდენობის პროპორციულად იზრდება, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ყოველ შემდგომ გამეორებას დადებითი ეგექტი ანუ *განმტკიცება* მოჰყვება.
- *მზაობის* კანონი – მიუთითებს იმ კავშირზე, რომელიც დასწავლის სისწრაფესა და ორგანიზმის მოცემულ მდგომარეობას შორის არსებობს. თორნდაიკი ამბობს, რომ ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური კავშირი აღბეჭდილია ინდივიდუალური ნერვული სისტემით მის სპეციფიკურ მდგომარეობაში. ვარჯიში, თავის მხრივ, ცვლის ორგანიზმის მზაობას, გაატაროს ნერვული იმპულსები. აქ შეინიშნება მინიშნება ფიზიოლოგიურ სუბსტრატზე, თუმცა დასწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმის შემდგომი დაზუსტება არ ხდება.

სამი ძირითადი კანონის გარდა თორნდაიკი აყალიბებს დასწავლის კარძო კანონებს ანუ პრინციპებს. მათ შორის აღსანიშნავია *ასოციაციის გადანაცვლების* პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, თუ გამღიზიანებელთა ერთდროული მოქმედების დროს ერთ-ერთი მათგანი იწვევს რეაქციას, დანარჩენებიც იძენენ ამავე რეაქციის გამოწვევის უნარს[3].

თორნდაიკმა შემდგომში თავის სისტემაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მაგალითად, ვარჯიშის კანონი გადაიტანა ეფექტის კანონის შინაარსში, რადგან ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გამეორება თავისთავად, რამდენჯერაც არ უნდა მოხდეს, არ განამტკიცებს ქცევას, თუ არ არის ცნობილი ამ ქცევის შედეგი. ეს ნიშნავს, რომ ჯილდოს განმამტკიცებელი, „ინფორმაციული“ მნიშვნელობა აქვს. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ დასჯა ანუ უარყოფითი ეფექტი ავტომატურად კი არ ამცირებს S-R კავშირს, არამედ მხოლოდ აფერხებს მის გარეგან გამოვლინებას. უფრო მეტიც, დასჯა ზოგჯერ აძლიერებს კიდეც კავშირს (იმედაძე, 2004).

ინტელექტი თორნდაიკთან

თორნდაიკის და მისი სტუდენტები ჯერ კიდევ 1903 წელს ობიექტური საზომების გამოყენებით ზომავდნენ ადამიანის ინტელექტს. იმ დროისათვის, როდესაც აშშ I მსოფლიო ომში ჩაერთო, თორნდაიკმა შეიმუშავა უნარებისა და მიღწევების ფართო სპექტრის საზომი მეთოდები. 1920-იან წლებში მან შექმნა ინტელექტის ტესტი, რომელიც მოიცავდა დასრულების და არითმეტიკულ უნარებს, ლექსიკონსა და მიმართებების საზომს. ეს ინსტრუმენტი მოწოდებული იყო ინტელექტუალური დონის გასაზომად აბსოლუტურ სკალაზე. ლოგიკა, რომელსაც ტესტი ეფუძნებოდა, მოიცავდა ტესტის დიზაინის იმ ელემენტებს, რომლებიც შემდგომში ინტელექტის თანამედროვე ტესტების საფუძვლად იქცა.

თორნდაიკმა ერთმანეთისგან განასხვავა ინტელექტუალური ფუნქციონირების სამი ფართო ჯგუფი: (1) ინტელექტის სტანდარტული ტესტები მხოლოდ „აბსტრაქტულ“ ინტელექტს ზომავს. ასევე მნიშვნელოვანი იყო (2) მექანიკური ინტელექტი – ობიექტებს შორის მიმართებების ვიზუალიზაციისა და იმის გაგების უნარი,

[3] ფაქტობრივად, ამ პრინციპს ეფუძნება პავლოვისეული პირობითი რეფლექსის შემუშავების სქემაც და ამის გამო პავლოვის მოძღვრებას ზოგჯერ „ასოციაციის გადანაცვლების“ თეორიასაც უწოდებენ ხოლმე (იმედაძე, 2004).

თუ როგორ მუშაობს ფიზიკური სამყარო და (3) სოციალური ინტელექტი – პიროვნებათშორის ურთიერთობებში წარმატებულად ფუნქციონირების უნარი. თორნდაიკი თვლიდა, რომ საჭიროა ამ სამი ტიპის ინტელექტის გაზომვის ინსტრუმენტების შექმნა.


თორნდაიკი ფიქრობდა, რომ აღქმულ სტიმულსა და წარმოქმნილ რეაქციებს შორის იქმნება ნერვული კავშირები და ამ კავშირების შექმნას ხელს უწყობს ინტელექტი. შედარებით მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს მეტი კავშირების ფორმირება შეუძლიათ და უფრო მარტივადაც ქმნიან მათ, ვიდრე – უფრო დაბალი ინტელექტის მქონენი. კავშირების ფორმირების უნარი გენეტიკურ პოტენციალში იღებს სათავეს, გენები ზემოქმედებენ ტვინის სტრუქტურაზე, თუმცა ინტელექტის კონკრეტული შინაარსი გამოცდილების ფუნქციას წარმოადგენს. იგი უარყოფდა იდეას, რომ ინტელექტის საზომი დამოუკიდებელი შეიძლება იყოს კულტურული გარემოდან.

მან შემოგვთავაზა აბსტრაქტული ინტელექტის ოთხი ზოგადი განზომილება:

- სიმაღლე – ამოცანების სირთულე ანუ კომპლექსურობა, რომელთა შესრულება შეუძლია ინდივიდს (ყველაზე მნიშვნელოვანი);
- სიგანე – მოცემული სირთულის ამოცანების მრავალფეროვნება;
- ფართობი – სიმაღლისა და სიგანის ფუნქცია;
- სიჩქარე – მოცემულ დროში ინდივიდის მიერ შესრულებული ამოცანების რაოდენობა.

თორნდაიკმა შემოიტანა ქცევის ბიოფსიქიკური დეტერმინანტი, რომლის კონტროლირება შესაძლებელი იყო ექსპერიმენტული მეთოდით[4] ანუ მან გააფართოვა ფსიქიკურის სფერო ცნობიერების მიღმა, გავიდა ცნობიერებიდან, მაგრამ არა – არაცნობიერის მიმართულებით, არამედ საერთოდ შეცვალა მიდგომის ორიენტაცია: ფსიქიკის სფეროდ ჩათვალა ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთობა.

ჯონ ბრაადუს უოტსონის ბიჰევიორიზმი



უოტსონმა (John B. Watson, 1878-1958) უარყო თორნდაიკის ეფექტის კანონი ანუ დასჯა-წახალისების პრინციპი, ვინაიდან მასში ისეთი ფსიქიკური პროცესებია ჩართული, როგორიცაა სიამოვნება-უსიამოვნების განცდა. მან უარყო მზაობის კანონიც, რადგან აქ ნეიროფიზიოლოგიაა ჩარეული. ამავე მიზეზით უოტსონმა პავლოვის ნეიროფიზიოლოგიური შეხედულებებიც უარყო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, უოტსონი ლაპარაკობს პირობით და უპირობო რეფლექსებზე. მისი აზრით, დასწავლისთვის საკმარისია სტიმულისა და რეაქციის თანხვედრა, მოსაზღვრეობა და ერთდროულობა.[5]

[4] ამიტომ მოახერხა ფსიქოლოგიამ სხვა ემპირიული მეცნიერებების გვერდით თავის დამკვიდრება.

[5] ეს პოზიცია, ფაქტიურად, ბიჰევიორისტული ტერმინებით იმეორებს კლასიკური ასოციაციონიზმის შეხედულებას.

ჯონ ბ. უოტსონი ითვლება *ბიჰევიორიზმის* ფუძემდებლად. ის სწავლას ჩიკაგოს უნივერსიტეტში იწყებდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ ცენტრში ჯეიმს ენჯელთან, თუმცა შემდეგ ფსიქოლოგიაზე გადაერთო. სწავლის წლებში მან მოისმინა კურსები ნევროლოგიასა და ფიზიოლოგიაში და მონაწილეობდა დიდი რაოდენობით კვლევებში, რომლებიც ცხოველებზე ტარდებოდა. ზოგიერთი ამ კვლევათაგანი ვირთხების ქცევის გართულებასა და ამასთან დაკავშირებით მათი ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებას ეძღვნებოდა.

დოქტორის ხარისხის მიღებამდე ერთი წლით ადრე უოტსონმა გადაიტანა ემოციური სტრესი და მრავალი კვირის მანძილზე უძილობით იტანჯებოდა. ის წერდა, რომ ეს პერიოდი ძალზე სასარგებლო იყო მისთვის, ვინაიდან სწორედ ამან შეუწყო ხელი ფროიდის სწავლების დიდი ნაწილის ათვისებაში (Watson, 1936, p. 274 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002). ჩიკაგოში დოქტორანტურაში სწავლა უოტსონმა 1903 წელს დაასრულა დისერტაციით, რომელიც ცხოველებისთვის სწავლებას ეძღვნებოდა, კერძოდ, შეეხებოდა იმას, თუ რა შეგრძნებების გამოყენება სჭირდება ვირთხას ლაბირინთის გასავლელად. ეს შრომა მან ზოოფსიქოლოგიის მეტრის, რობერტ იერქსის ხელმძღვანელობით შეასრულა და ზოოფსიქოლოგიის პროფესორი გახდა. უოტსონის მასწავლებელი იყო, ასევე, ჟაკ ლიობი – ცხოველთა შესწავლისადმი ობიექტური მიდგომის აღიარებულ ლიდერი. მის მასწავლებელთა ჩამონათვალში უნდა აღინიშნოს ჯონ დიუიც, რომელთანაც უოტსონი ფილოსოფიას სწავლობდა. დიუი პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცა, როგორც თავად უოტსონი ამბობს, არასოდეს ესმოდა კარგად, თუ რას ქადაგებდა დიუი (იმედაძე, 2004).

უოტსონი, ზოგადად, ერიდებოდა ფილოსოფიას და თვლიდა, რომ მის ბიჰევიორისტულ მიდგომას არაფერი აქვს საერთო ფილოსოფიასთან, თუმცა, ობიექტურად, ცხადია, რომ ის გარკვეულ ფილოსოფიურ საფუძველზე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ უოტსონი ამაზე თავად არ საუბრობს, კლასიკური ბიჰევიორიზმის ფილოსოფიურ საფუძველს *პოზიტივიზმი* და *პრაგმატიზმი* წარმოადგენს. სწორედ პოზიტივიზმი მოითხოვს, რომ მეცნიერებიდან გამოირიცხოს ყველაფერი, რაც არ ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას. ამიტომ განიდევნა ბიჰევიორისტული კვლევიდან ცნობიერებაც და ფიზიოლოგიური მექანიზმებიც. უოტსონი ინტროსპექციის წინააღმდეგ გამოდის. მისი წანამორბედი ამაშიც პოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ოგიუსტ კონტია. პრაგმატიზმის გავლენა ბიჰევიორიზმის საერთო განწყობაში ვლინდება – ის ყველაფერს პრაქტიკული სარგებლიანობის კუთხით უყურებს (იმედაძე, 2004).

უოტსონის დისერტაცია, ასევე, მისთვის კვლევაში ადამიანების ცდის პირებად გამოყენებისადმი მნიშვნელოვანი განწყობის გაჩენას უკავშირდებოდა. ის წერდა:

> ჩიკაგოში პირველად ვცადე ზოგადი კონტურებით მომეხაზა ის, რაც შემდგომში ჩემს პოზიციად იქცა. არასოდეს მდომებია კვლევაში ცდის პირებად ადამიანების გამოყენება. მე თავად ვერ ვიტანდი ცდის პირის როლში ყოფნას. არ მომწონდა მომაბეზრებელი, ხელოვნური ინსტრუქციები, რომლებიც ეძლეოდათ ცდის პირებს. ყოველთვის უხერხულად და არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს და არაბუნებრივად ვიქცეოდი. ცხოველებთან კი თავს ისე ვგრძნობდი, როგორც – სახლში. ვგრძნობდი, რომ მათი შესწავლით მეტად ვუახლოვდებოდი ბიოლოგიას, ბუნებას და მყარად ვიდექი მიწაზე. უფრო და უფრო მეტად მიპყრობდა აზრი: „ნეტავ, არ შემიძლია, რომ მათ ქცევაზე

დაკვირვებით მივაგნო რაიმეს ისეთს, რასაც სხვა დოქტორანტები პოულობენ, როდესაც ცდის პირად ადამიანი ჰყავთ?“ (Watson, 1936, p. 276 ციტირებულია წყაროში (Первин Л., 2002).

უოტსონის მეცნიერული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია, პირველ რიგში, ცხოველთა ფსიქოლოგიამ, განსაკუთრებით თორნდაიკმა და ობიექტივისტურმა სკოლამ. ამ კვლევებს უოტსონი აფასებდა, როგორც რეაქციას ზოგადად ანტროპომორფიზმზე და არა – ცნობიერების ფსიქოლოგიაზე. ის თავის ფსიქოლოგიას ანუ ბიჰევიორიზმს სამართლიანად მიიჩნევს სწორედ ასეთ ფსიქოლოგიაზე უარყოფით რეაქციად. აქ შეგვიძლია პავლოვისა და ბეხტერევის გავლენაც ვახსენოთ (იმედაძე, 2004).

1908 წელს უოტსონმა დატოვა ჩიკაგო, რათა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში[6] პროფესორად დაეწყო მუშაობა, სადაც იმუშავა 1920 წლამდე. ამ უნივერსიტეტში მუშაობის შეწყვეტა მას მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო სამსახურის გამო მოუწია. სწორედ აქ დაამუშავა უოტსონმა თავისი სწავლება ბიჰევიორიზმის, როგორც ფსიქოლოგიური მიდგომის, შესახებ. მის მოსაზრებებში ხაზგასმული იყო გარეგანი დამკვირვებლისთვის თვალსაჩინო ქცევის შესწავლის მნიშვნელოვნება და კვლევები, რომლებიც გამორიცხავდნენ თვითდაკვირვებას ანუ ინტროსპექციას. მისი მოსაზრებები წარმოდგენილი იყო საჯარო ლექციებზე 1912 წელს და 1914 წელს გამოქვეყნდა მის წიგნში „ქცევა: შესავალი შედარებით ფსიქოლოგიაში“. უოტსონის მოწოდებას, რომ გამოეყენებინათ ობიექტური მეთოდები და ბოლო მოეღოთ სპეკულაციებისთვის იმის თაობაზე, თუ რა ხდება ადამიანის შიგნით, ენთუზიაზმით შეხვდნენ. ის 1915 წელს 37 წლის ასაკში ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის[7] პრეზიდენტად აირჩიეს. მოგვიანებით უოტსონმა კარგად დაამუშავა თავისი თეორია რუსი მეცნიერის პავლოვის შრომების გათვალისწინებით. მისი ეს მოსაზრებები გადმოცემულია 1919 წელს გამოცემულ მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომში *„ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის გადმოსახედიდან“*[8].

უოტსონი ამტკიცებდა, რომ ინტროსპექცია – ადამიანების ვერბალური ანგარიშები მათი განცდების, ხატებისა და შეგრძნებების შესახებ, არ იყო ქცევის შესწავლის მისაღები მეთოდი, მისი ზედმეტად სუბიექტურობის გამო. როგორ უნდა განესაზღვრათ მეცნიერებს ასეთი თვითდაკვირვებების სიზუსტე? თუმცა, თუ უარყოფდნენ ინტროსპექციას, მაშინ რაღა რჩებოდა ფსიქოლოგიის საგნად? უოტსონს ამ კითხვაზე ძალზე მარტივი და კონკრეტული პასუხი ჰქონდა: *დაკვირვებადი ქცევა*. მისი სიტყვებით: – „ცნობიერების მდგომარეობები, ე. წ. სპირიტუალიზმის ფენომენი, არ არის ობიექტურად განსაზღვრადი და ამ მიზეზით ვერასოდეს გახდება მონაცემი მეცნიერებისათვის“ (Watson, 1919, p. 1 ციტირებულია წყაროში გერიგი, 2009). უოტსონმა, ასევე, განსაზღვრა ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი, როგორც ქცევის კონტროლი და პროგნოზი (გერიგი, 2009).

[6] სწორედ ამ უნივერსიტეტში გაიხსნა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

[7] APA – American Psychological Assosiation www.apa.org.com

[8] Watson, 1929, *Psychology from Standpoint of Behaviorist*.

1919 წელს უოტსონი გაეყარა ცოლს და მალევე დაქორწინდა თავის სტუდენტზე როზალი რეინერზე (Rosalie Rayner), რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა პროფესორის თანამდებობა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში და საერთოდ წასულიყო მეცნიერებიდან. ის ისეთ ვითარებაში წავიდა მეცნიერებიდან, რომ იძულებული გახდა სარეკლამო ბიზნესში წასულიყო და ამით ეცხოვრა. მიუხედავად იმისა, რომ მას ცნობილი მეცნიერის რეპუტაცია ჰქონდა, ის იძულებული იყო პოტენციური ბაზრის შესწავლით დაკავებულიყო. მიუხედავად ყველაფრისა, უოტსონმა აღმოაჩნია, „რომ გაყიდვების მრუდის ზრდაზე დაკვირვება არანაკლებ ამაღელვებელი სანახაობა შეიძლება იყოს, ვიდრე ცხოველების ან ადამიანების დასწავლის მრუდები“. (Watson, 1936, p. 280 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002). უოტსონი 25 წლის განმავლობაში დიდი ფირმის ვიცეპრეზიდენტი იყო. 1920 წლის შემდეგ ის პერიოდულად ატარებდა პოპულარულ ლექციებს, დაწერა რამდენიმე პოპულარული სტატია და გამოაქვეყნა წიგნი *„ბიჰევიორიზმი“* (1925). ამ წიგნმა გრანდიოზული ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში, თუმცა ბიჰევიორიზმი, არსებითად, მაინც ამერიკულ მოვლენად და მიმართულებად დარჩა (იმედაძე, 2004). მიუხედავად უოტსონის აქტიური მოღვაწეობისა, მისი, როგორც თეორეტიკოსისა და ექსპერიმენტატორის, კარიერა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან წასვლასთან ერთად დასრულდა (Первин Л., 2002).

უოტსონისეული კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ფსიქოლოგიის ინტროსპექციონიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ფსიქოლოგია ექსპერიმენტულია, ამვდროულად ინტროსპექციულიცაა. უოტსონს მიაჩნდა, რომ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ არსებობის 30 წლის მანძილზე ფსიქოლოგიამ, როგორც ექსპერიმენტულმა მეცნიერებამ, ვერ შეძლო თავის დამკვირდება სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინების გვერდით. თვითდაკვირვების არასანდოობის გამო ჩვენ ვერ ვიღებთ ერთნაირ, სანდო და უტყუარ მონაცემებს და ამიტომ ვერ ვთანხმდებით ძირითადი საკითხების თაობაზე. თუ ფიზიკასა და ქიმიაში ვერ იღებენ იმავე მონაცემებს, ეს ექსპერიმენტის პირობებს (ან აპარატურის არასაკმარის მგრძნობელობას, ან რეაქტივების არასაკმარის სისუფთავეს) მიეწერება, ფსიქოლოგიაში კი ყველაფრის მიზეზი თვითდაკვირვებისთვის ცდის პირის მოუმზადებლობაა.

უოტსონს მიაჩნდა, რომ სანამ ინტროსპექციით ხელმძღვანელობდნენ, ვერ დაადგენდნენ ჭეშმარიტებას. ამიტომ ფსიქოლოგიის მიერ ობიექტური მონაცემების მიღების იმედს ის ისეთი დარგების გამოცდილებაზე ამყარებდა, რომლებშიც არ გამოიყენებოდა ინტროსპექცია და დიდი წარმატებით ვითარდებოდა, ესენი იყო რეკლამის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ტესტოლოგია, პათოფსიქოლოგია და განსაკუთრებით ზოოფსიქოლოგია. უოტსონი ამბობს, რომ ცხოველების შესწავლა ინტროსპექციას გამორიცხავს და აქ გამოყენებული მეთოდების გამოყენება ბავშვებთანაც არის შესაძლებელი. ამიტომ, უოტსონის აზრით, თავი უნდა დავანებოთ თვითდაკვირვებას და გარეგანი დაკვირვებით დავკმაყოფილდეთ. იმას უნდა დავაკვირდეთ, რაც ობიექტურად არის მოცემული. ასეთია მოქმედება, ქცევა. ფსიქოლოგიამ, უოტსონის აზრით, უარი უნდა თქვას ცნობიერების კვლევაზე და შეისწავლოს ქცევა. მას მიაჩნდა, რომ კვლევაში უარი უნდა თქმულიყო მენტალურ ტერმინოლოგიაზე და ხმარებიდან ამოღებულიყო ტერმინები აღქმა, აზროვნება, წარმოდგენა, სურვილი და ა.შ.; უნდა შექმნილიყო ახალი ტერმინოლოგია და ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა

ქცევის ისეთი ტერმინებით უნდა აღწერილიყო, როგორიცაა სტიმული და რეაქცია, ჩვევების შემუშავება, ინტეგრაცია და ა.შ. (იმედაძე, 2004).

უოტსონმა შექმნა ფსიქოლოგია ფსიქიკის (ანუ ცნობიერების) გარეშე. ის არ უაყოფს მის არსებობას, როგორც ზოგჯერ მიაწერენ ხოლმე მას, მაგრამ თავს არიდებს ამ საკითხზე მსჯელობას და თვლის, რომ ეს არ უნდა იყოს მეცნიერული შესწავლის საგანი. ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ ცნობიერება, ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მნიშვნელობით, არ შეიძლება სრულყოფილი ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტად იქცეს, ამიტომ ფსიქოლოგიამ ქცევა უნდა შეისწავლოს. ის ამომწურავად აღიწერება S-R (სტიმული-რეაქციის) წყვილით (იმედაძე, 2004). „ბიჰევიორიზმის მთავარი ამოცანაა შეკრიბოს ადამიანის ქცევაზე დაკვირვებათა მონაცემები, რათა ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ბიჰევიორიზმს შეეძლოს იმის თქმა, თუ როგორი იქნება რეაქცია, ან, თუ რეაქცია სახეზეა, დაადგინობს, რა სიტუაციამ გამოიწვია ის“ (Watson, 1919 ციტირებულია წყაროში (იმედაძე, 2004). ფსიქოლოგიის მიზანს ქცევის წინასწარმეტყველება და მართვა (კონტროლი) წარმოადგენს.

უოტსონისთვის *სტიმული* მოცემულ მომენტში ორგანიზმზე მოქმედი გამღიზიანებელია, მაგალითად, ტალღების სხვადასხვა სიგრძის სინათლის სხივები, განსხვავებული სიხშირისა და ამპლიტუდის აკუსტიკური ტალღები, ყნოსვის ორგანოებზე მოქმედი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები და ა.შ. გარდა ამისა, სტიმულის როლი შეიძლება შეასრულოს კუნთების შეკუმშვამ, ჯირკვლების სეკრეციამ და სხვა ორგანულმა პროცესებმა. ორგანიზმზე, როგორც წესი, სტიმულთა ერთობლიობა მოქმედებს, ამიტომ შესაძლებელია სიტუაციის ზემოქმედებაზე ვილაპარაკოთ. რაც შეეხება *რეაქციას*, ამ ტერმინით უოტსონი აღნიშნავს იმ ცვლილებათა ერთობლიობას, რომელიც კუნთებისა და ჯირკვლების მოქმედებისას ხდება ანუ რეაქცია ორგანიზმის მოტორული და სეკრეტორული გამოვლინებაა.

ბუნებრივად ჩნდება კითხა: ეს ყველაფერი ფიზიოლოგიის კომპეტენცია ხომ არ არის? უოტსონი თვლის, რომ ბიჰევიორიზმისა და ფიზიოლოგიის სფეროების სრულიად განსხვავებულია და ის ასე მსჯელობს: ვთქვათ, თვალის რქოვან გარსს შევეხეთ (სტიმული) და გამოვიწვიეთ თვალის დახუჭვა (რეაქცია). თუ ზუსტად გვაქვს აღწერილი სტიმული და რეაქცია და მათ შორის არსებული მიმართების ფაქტი ემპირიულად სანდოა, მაშინ ბიჰევიორიზმის საქმე შესრულებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ფიზიოლოგიის ამოცანაა შესაბამისი ნერვული კავშირების, მათი მიმართულების, რაოდენობის, ხანგრძლიობის, გავრცელებულობისა და ა. შ. დადგენა. ბიჰევიორიზმს არც ფიზიკურ-ქიმიურ პრობლემებს ეხება. კერძოდ, იმას, თუ რა ფიზიკური ან ქიმიური ბუნებისაა ნერვული იმპულსი, რა ენერგეტიკულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული რეაქცია და სხვა. ამრიგად, ყოველ რეაქციას აქვს ბიჰევიორისტული, ნეიროფიზიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური ასპექტი.

უოტსონი უშვებს თანდაყოლილი და შეძენილი რეაქციების არსებობას. აგრეთვე, გამოყოფს, ექსპლიციტურ (გარეგან) და იმპლიციტურ (შინაგან) რეაქციებს. მას მიაჩნია, რომ იმპლიციტურმა რეაქციებმა უნდა შეცვალოს ის, რასაც ინტროსპექციული ფსიქოლოგია უწოდებს აზრს, ხატს, იდეას, წარმოდგენას და ა. შ.

აზროვნება იმპლიციტური რეაქციის ტიპური ნიმუშია. ის უნდა აღიწეროს არა წარმოდგენებისა და აზრების, არამედ მოტორული რეაქციების ტერმინებით.

იმ დროისთვის ფსიქოლოგიაში უკვე მყარად იყო აღიარებული ფსიქიკური ფუნქციების კავშირი სამოძრაო აქტივობასთან; მაგალითად, ცნობილი იყო ვიზუალური აღქმის კავშირი თვალის მოძრაობასთან, ემოციებისა – სხეულებრივ პროცესებთან, აზროვნებისა – სამეტყველო აპარატთან და ა. შ. ბიჰევიორისტებისთვის ეს საკმარისი იყო სუბიექტური ფსიქიკური პროცესების ობიექტური მოტორული პროცესების ჩანაცვლებისთვის. ეს ლოგიკა უპირატესად აზროვნებაზე გავრცელდა. უოტსონი ცდილობდა, ექსპერიმენტულად ეჩვენებინა არამარტო მეტყველებისა და აზროვნების კავშირი, არამედ მათი იდენტურობაც (იმედაძე, 2004).

უოტსონი რეაქციების ოთხ კლასს გამოყოფს:

1) ექსპლიციტური-შეძენილი – სამოძრაო ჩვევები, როგორიცაა ცეკვა, ჩოგბურთის თამაში, ჩაცმა და ა.შ.;
2) იმპლიციტური- შეძენილი – შინაგანი მეტყველება ანუ აზროვნება[9];
3) ექსპლიციტური-თანდაყოლილი – უპირობო რეფლექსები, როგორიცაა ცხვირის ცემინება, თვალის დახამხამება, გამოყოფა და ა. შ.;
4) იმპლიციტური-თანდაყოლილი – სეკრეცია, შინაგანი ფუნქციების მოქმედებასთან დაკავშირებული მოძრაობები.

უოტსონი ამტკიცებს, რომ, როგორც ბავშვების აქტივობის ბიჰევიორისტულმა კვლევამ აჩვენა, არ არსებობს რთული თანდაყოლილი რეაქციები, რომელთაც ინსტინქტებს უწოდებენ. თანდაყოლილია მხოლოდ მარტივი უპირობო რეფლექსები. ყველა ასე თუ ისე რთული ქცევა შეძენილია. თანდაყოლილ ქცევებთან ანუ ინსტინქტებთან ერთად უგულებელყოფილია სპეციალური თანდაყოლილი ნიჭიც (მუსიკალური, მხატვრული და სხვა). ამრიგად, ბავშვი თანდაყოლილი მარტივი რეაქციების შეზღუდული რაოდენობით იბადება და გარემოს მიზანმიმართული შეცვლის მეშვეობით შეგვიძლია მისი ფორმირების პროცესის ჩვენი სურვილისამებრ წარმართვა. ქცევა დასწავლის შედეგია. დასწავლის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება (იმედაძე, 2004). სწორედ ამასთან მიმართებით ამბობდა უოტსონი: „მომეცით ათეულობით ბავშვი და სპეციალურ გარემოში მათი აღზრდის შესაძლებლობა. გაძლევთ გარანტიას, რომ შემთხვევით შერჩეული ერთ-ერთი მათგანისგან ნებისმიერი პროფილის სპეციალისტს შევქმნი: ექიმს, ადვოკატს, ბიზნესმენს, მათხოვარსა და ქურდსაც კი, მიუხედავად მისი მიდრეკილებებისა, ნიჭისა, წინაპრების საქმიანობისა და რასობრივი მიკუთვნებულობისა“ (Watson, 1924 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002).

კლასიკური განპირობების პრინციპების პრაქტიკული გამოყენება

პირობითი ემოციური რეაქციები

პირობითი რეფლექსების პავლოვისეულ კვლევებზე აგებულ შრომებში მკაფიოდ განისაზღვრა სტიმულები და რეაქციები, რამაც შესაძლებელი გახადა დასწავლის ფენომენების ობიექტური მეთოდით

[9] უოტსონისთვის აზროვნება და მეტყველება ერთი და იგივე ფუნქციაა, მისთვის შინაგანი ანუ გაუხმოვანებელი ვოკალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება (იმედაძე, 2004).

შესწავლა. ამიტომ მათ უდიდესი როლი შეასრულეს იმით, რომ ისეთი ბიჰევიორისტების აზროვნებაზე მოახდინეს გავლენა, როგორიცაა, მაგალითად უოტსონი (Первин Л., 2002). მან მცირეწლოვანი ბავშვების კვლევის პროგრამა შეიმუშავა. მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქცევის პრაქტიკულად ყველა გამოვლინება თანდაყოლილი კი არ არის, არამედ – ცხოვრების მანძილზე შეძენილი.[10]კარგად არის ცნობილი უოტსონის კვლევა, რომელიც ემოციური რეაქციების გამომუშავებას შეეხებოდა. ის სწავლობდა ჩვილის ემოციურ რეაქციებსა და მათ გამომწვევ გამღიზიანებლებს[11]. უოტსონმა თავისი კვლევით აჩვენა, რომ ემოციები დასწავლის და გადაჩვევის შედეგია. ისინი წარმოიქმნებიან, ქრებიან და იცვლებიან დასწავლის კანონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჩვევის შეძენის, დასწავლის პროცესი ბიჰევიორიზმის მთავარ საკითხს წარმოადგენს (იმედაძე, 2004).

ყველაზე ცნობილ კვლევაში, რომელიც უოტსონსა და რეინერს ეკუთვნის, 11 თვის ალბერტს დაასწავლეს ცხოველებისა და ისეთი საგნების შიში, რომლებიც თავდაპირველად სრულიად არ იწვევდა მასში არანაირ შიშს. მათ აღმოაჩინეს, რომ ლითონის ფირფიტაზე ჩაქუჩის დარტყმაზე ბავშვი გაოცებითა და შიშით რეაგირებდა. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თუ ამ ფირფიტას უშუალოდ ბავშვის თავის უკან შემოჰკრავდნენ ჩაქუჩს იმ მომენტში, როდესაც ის ლაბორატორიულ თაგვამდე ხოხვით ცდილობდა მიწვდენას, მაშინ მას შეეშინდება ამ თაგვის, თუმცა თავდაპირველად მას სულად არ ეშინოდა მისი. ამ პროცედურის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ექსპერიმენტატორებმა აღმოაჩინეს, რომ ალბეტრისთვის საკმარისი იყო თაგვის დანახვა (ფირფიტაზე ჩაქუჩის დარტყმის ხმის გარეშე), რომ მას ტირილი დაეწყო. მას გამოუმუშავდა ის, რასაც დღეს *პირობით ემოციურ რეაქციას* ვუწოდებთ.

ახლა ალბერტს შემაშინებელ ხმასთან ემოციური ასოციაციის გამო ეშინოდა თაგვის. გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ ალბერტმა სხვა ისეთი ობიექტების შიშიც გამოავლინა, რომლებიც რაღაცით მაინც ჰგავდნენ თაგვს. მიუხედავად ზოგიერთი მონაცემისა იმის შესახებ, რომ ალბერტის ემოციური რეაქცია არც ისე ძლიერი და გენერალიზებული იყო, როგორსაც მოელოდნენ, უოტსონი და რეინერი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მრავალი სხვადასხვაგვარი შიში პირობით ემოციურ რეაქციას წარმოადგენს. ამაზე დაყრდნობით მათ გააკრიტიკეს გართულებული ფსიქოანალიტური ინტერპრეტაციები:

> როდესაც ფროიდისტები, თუ მათი ჰიპოთეზები არ შეიცვალა, 20 წლის შემდეგ დაიწყებენ იმის გაანალიზებას, თუ რატომ ეშინია ალბერტს ზღვის გოჭის ბეწვიანი ქურქის, ...ისინი, ალბათ, მას სიზმრების უამრავჯერ მოყოლას აიძულებენ, რომელთა ანალიზი აჩვენებს, რომ როდესაც სამი წლის იყო, ალბერტი ცდილობდა ეთამაშა საკუთარი დედის თმიანი საფარველით და ამის გამო მკაცრად დასაჯეს... თუ ანალიტიკოსი მოახერხებს და დააჯერებს ალბერტს

[10] მაგალითად, იკვლევდა მემარჯვენეობა-მემარცხენეობას. ვინაიდან მან ვერ აღმოაჩინა ამ მოვლენისთვის ვერანაირი ბიოლოგიური საფუძველი და ცდები აჩვენებდა, რომ თავიდან არც ერთი ხელი არ არის დომინირებული. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის ჯერ არ არსებობდა ნეიფიზიოლოგია და ნეიროფსიქოლოგია, საიდანაც ცნობილია თავის ტვინის ნახევარსფეროების წამყვანობის როლი მემანჯვენეობა-მემარცხენეობის განსაზღვრაში.

[11] საუბარია ცნობილ ექსპერიმენტზე, რომელიც „პატარა ალბერტის ექსპერიმენტის“ სახელით არის ცნობილი და რომელიც უოტსონმა როზალი რეინერთან (თავის დოქტორანტთან, შემდგომში მეუღლესთან) ერთად ჩაატარა. ეს ექსპერიმენტი დღეისათვის ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირველი ეთიკურად გაუმართავი ექსპერიმენტი.

სიზმრის ასეთი ინტერპრეტაციის მართებულობას გარკვეული ობიექტების მიმართ მისი შიშის თვალსაზრისით და თუ ამ ანალიტიკოსს ავტორიტეტი და დარწმუნების უნარი გააჩნია, მაშინ ალბერტმა შეიძლება სავსებით დაიჯეროს, რომ სწორედ მისი სიზმარი ასახავს რეალურ ვითარებას, რომელმაც გამოიწვია არსებული შიშების ჩამოყალიბება. *წყარო: Watson and Rayner, 1920. P. 14 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002.*

კურდღლის შიშის გადაჩვევა

მრავალი ფსიქოლოგის აზრით, კლასიკური პირობითი ემოციური რეაქციების გამომუშავებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქოპათოლოგიის განვითარებაში და ქცევის შეცვლის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. ბიჰევიორალური თერაპია, რომელიც კლასიკური განპირობების მოდელს ეფუძნება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაადეკვატური რეაქციების, როგორიცაა განპირობებული შიშების, ჩაქრობას, ისე – ახალი რეაქციების გამომუშავებას იმ სტიმულებზე, რომლებიც ადრე არასასურველ რეაქციებს, მაგალითად, შფოთვას, იწვევდნენ.

ამ მიდგომის გამოყენების პირველი მცდელობა, რომელიც მოჰყვა უოტსონისა და რეინერისეულ პატარა ალბერტის ექსპერიმენტს, ჯონსს (1924) ეკუთვნოდა. ის შიშის მოხსნას ლაბორატორიულ პირობებში შეეცადა (Первин Л., 2002). ამ კვლევაში, რომელიც ერთ-ერთ პირველად ითვლება, ჯონსი შეეცადა 2 წლისა და 10 თვის პიტერი განეკურნა მოჭარბებული შიშის გამოვლინებებისგან. პიტერი, საერთო ჯამში, ჯანმრთელი, კარგად ადაპტირეული ბავშვი იყო, რომელსაც ეშინოდა თეთრი ვირთხების და ეს შიში ვრცელდებოდა კურდღლებზე, ქურქებზე, ბუმბულებსა და ბამბაზე. ჯონსმა დეტალურად აღწერა შიშის რეაქციის თავისებურებები და ის პირობები, რომლებიც ყველაზე მეტ შიშს იწვევდა. შემდეგ დასვა კითხვები: შესაძლებელია თუ არა რომელიმე ერთ სტიმულზე შიშის პირობითი რეაქციის მოხსნა და გავრცელდება თუ არა ეს მოხსნა სხვა სტიმულებზე?

ექსპერიმენტისთვის ჯონსმა აირჩია კურდღლის შიში, ვინაიდან ის ყველაზე ძლიერად გამოიყურებოდა, ვირთხების შიშზე მეტად ძლიერად. მან შეიმუშავა შემდეგი პროცედურა: პიტერი სათამაშოდ შეჰყავდათ ოთახში, სადაც მას ხვდებოდა კურდღელი და სამი სხვა ბავშვი, რომლებსაც საერთოდ არ ეშინოდათ კურდღლის. კურდღლის დანახვაზე სრული შეძრწუნებიდან პიტერი თანდათანობით გადავიდა მასზე დადებითი რეაქციის მდგომარეობაში. ეს ეტაპები მოცემულია ცხრილში 2.

პიტერის წინსვლა ამ ეტაპებზე არ იყო მარტივი და უწყვეტი და, საბედნიეროდ, ჯონსი დეტალურად აღწერს ამ მოვლენების თანმიმდევრობას. პიტერს უკვე გავლილი ჰქონდა პირველი ცხრა ეტაპი, როდესაც ის ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში წაიყვანეს. როდესაც ორთვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა ლაბორატორიაში, პიტერის შიშის რეაქცია ისევ საწყის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯონსმა ამ რეციდივის მიზეზები შემდეგნაირად აღწერა (Первин Л., 2002):

> ყველაფერს ნათელი მოჰფინა ექთნის მონათხრობმა, რომელმაც მოიყვანა პიტერი საავადმყოფოდან. როდესაც საავადმყოფოს კართან ტაქსში სხდებოდნენ, მათ თავს დაესხათ დიდი ძაღლი, რომელმაც გაირბინა იქვე. პიტერსაც და ექთანსაც ძალიან შეეშინდათ... ეს საკმარისად დამაჯერებელ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ წინა მდგომარეობაში ასეთი უცაბედი დაბრუნებისთვის. შეგაშინოს დიდმა ძაღლმა, როდესაც ავად ხარ და უცხო გარემოში იმყოფები

შენსავით შეშინებულ მოზრდილთან – ეს ყველაფერი შიშის გამომწვევი სიტუაციებია, რომლისთვისაც ჩვენი ტრენინგი ვერ მოამზადებდა მას.

ცხრილი 2. პიტერის კურდღლის შიშის მდგომარეობების თანმიმდევრობა

N	პიტერის თანმიმდევრული მდგომარეობები
1	გალიაში ჩასმული კურდღელი პიტერში შიშს იწვევს ნებისმიერი მანძილიდან.
2	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 3.5 მ-ის მანძილზე.
3	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 1.2 მ-ის მანძილზე.
4	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 1 მ-ის მანძილზე.
5	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიის სიახლოვეს.
6	ატანადი რეაქცია იმაზე, რომ კურდღელი თავისუფლად დარბის ოთახში.
7	პიტერს შეუძლია ხელით შეეხოს კურდღელს, როცა ის ხელში უჭირავს ექსპერიმენტატორს.
8	პიტერს შეუძლია ხელით შეეხოს კურდღელს, როცა ის თავისუფლად დარბის ოთახში.
9	იწვევს კურდღელს: აფურთხებს მას, ესვრის სხვადასხვა საგნებს, აჯავრებს მას.
10	კურდღელს უფლებას აძლევს მის წინ მაგიდაზე იჯდეს, რომელიც მიმაგრებულია მაღალ საბავშვო სკამზე.
11	კურდღლის გვერდით ზის მისგან თავის დაცვის გარეშე.
12	ექსპერიმენტატორს ეხმარება კურდღლის გალიამდე მიყვანაში.
13	კურდღელს მუხლებზე იჩერებს.
14	კურდღელთან ერთად მარტო რჩება ოთახში.
15	კურდღელს უფლებას აძლევს, რომ მასთან ერთად იყოს სათამაშო მოედანზე.
16	უზომოდ უყვარს კურდღელი.
17	კურდღელს უფლებას აძლევს, რომ მისი თითები ჰქონდეს პირში.

ამიტომ პიტერის დაბრუნების შემდეგ ჯონსმა ყველაფერი თავიდან დაიწყო, თუმცა ამჯერად თერაპიის სხვა მეთოდი – „პირდაპირი განპირობება“ – გამოიყენა. ამ ეტაპზე პიტერს საბავშვო სკამზე სვამდნენ და აძლევდნენ საყვარელ საჭმელს, ხოლო ექსპერიმენტატორს თანდათანობით სულ უფრო და უფრო ახლოს მოჰყავდა გალიაში ჩასმული კურდღელი. სასიამოვნო სტიმულის (გემრიელი საჭმლის) წყალობით ყოველთვის, როდესაც ჩნდებოდა კურდღელი, შიში თანდათანობით ადგილს უთმობდა დადებით რეაქციას. სხვა სიტყვებით, საკვებთან ასოცირებული დადებითი გრძნობები გადაიტანებოდა თავდაპირველად საშიშ კურდღელზე (კონტრგანპირობება). გარდა ამისა, ტრენინგის შემდგომ სეანსებზეც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბავშვების გავლენას, რომლებსაც არ ეშინოდათ კურდღლის.

საინტერესოა, ამ დროს რა ხდებოდა სხვა შიშებთან დაკავშირებით. ჯონსი აღნიშნავს, რომ კურღლის შიშის მოხსნის შემდეგ პიტერს სრულიად მოეხსნა სხვა შიშებიც, კერძოდ, მას აღარ ეშინოდა ქურქების, ბუმბულებისა და ბამბის. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდით, თუ რატომ ეშინოდა პიტერს კურდღლის, აღმოჩნდა, რომ შიშის მოხსნის პროცედურა წარმატებით მუშაობს და დადებითი ეფექტი სხვა ანალოგიურ სტიმულებზეც გავრცელდა (გენერალიზირდა) (Первин Л., 2002).

კლასიკური განპირობების პრინციპების სხვა გამოყენებები

ბიჰევიორისტული მიდგომის განვითარების პირველ ეტაპებზე შემუშავებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა მიმართულია ბავშვებში ღამის ენურეზის მკურნალობაზე (Mowrer & Mowrer ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002). როგორც წესი, ღამის ენურეზი იმიტომ ხდება, რომ ბავშვი დროულად არ რეაგირებს შარდის ბუშტის სიგნალებზე, ვერ ასწრებს გაღვიძებასა და ტუალეტამდე მისვლას. ამ

სიტუაციასთან გასამკლავებლად მკვლევრებმა შეიმუშავეს საშუალება, რომელიც კლასიკური პირობითი რეფლექსის მოდელს ეფუძნება. ეს არის პატარა, მაღვიძარას მსგავსი ელექტრული მოწყობილობა, რომელიც მაგრდება ბავშვის საწოლში და სველ ზეწარზე რეაგირებს. თუ ბავშვი ჩაისველებს, მოწყობილობა რთავს ზარს და ეს ხმა აღვიძებს ბავშვს. შარდის ბუშტის სიგნალები თანდათანობით ასოცირდება გაღვიძების რეაქციასთან. დროთა განმავლობაში ეს რეაქცია წინ უსწრებს ჩასველებას და სველი ზეწრების პრობლემა სრულიად იხსნება.

კლასიკური პირობითი რეფლექსის გამომუშავების პროცედურა ალკოჰოლიკების მკურნალობაშიც გამოიყენებოდა. მაგალითად, რომელიმე უსიამოვნო სტიმული – დენის დარტყმა ან ღებინების გამომწვევი საშუალება – უშუალოდ ალკოჰოლის მიღების შემდეგ მიეწოდება. უსიამოვნო გამღიზიანებელი მოქმედებს, როგორც უპირობო სტიმული და ალკოჰოლზე არიდების პირობითი რეაქცია ყალიბდება (Nathan, 1985 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002).

სისტემატური დესენსიტიზაცია

დღეისათვის ამ სფეროში ყველაზე შთამბეჭდავ მიღწევად ითვლება *სისტემატური დესენსიტიზაციის* მეთოდი, რომელიც ჯოზეფ ვოლპეს (სურათი N) ეკუთვნის (Первин Л., 2002). საინტერესოა, რომ ეს მეთოდი შეიმუშავა ფსიქიატრმა (და არა ფსიქოლოგმა), რომელმაც პრაქტიკაში მუშაობა ფსიქოანალიტური ტრადიციით დაიწყო. თუმცა, რამდენიმე წლიანი პრაქტიკის შემდეგ ვოლპე გაეცნო პავლოვისა და ჰალის შრომებს, რომლებმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. ის მივიდა მოსაზრებამდე, რომ ნევროზი – ეს არის მდგრადი, არაადეკვატური, შეძენილი რეაქცია, რომელიც თითქმის ყოველთვის ასოცირდება შფოთვასთან. აქედან გამომდინარეობს, რომ თერაპია კონკურენტული (საპირისპირო) რეაქციის კონტრგანპირობებით შფოთვის დამუხრუჭებას უნდა წარმოადგენდეს. სხვა სიტყვებით, თერაპია ნიშნავს ისეთი პირობითი რეაქციების გამომუშავებას, რომლებიც აქრობენ ან აჩერებენ შფოთვას. თუმცა, ფსიქოთერაპევტების ყურადღება ყველაზე მეტად ერთ-ერთმა მეთოდმა მიიპყრო – ესაა ღრმა კუნთური რელაქსაცია. სისტემატური დესენსიტიზაციის პროცესის საშუალებით პაციენტი სწავლობს გარკვეულ, თავდაპირველად შფოთვის გამომწვევ სტიმულებზე რელაქსაციის ახალი პირობითი რეფლექსით რეაგირებას.

სურათი N6. ჯოზეფ ვოლპე (Joseph Wolpe, 1915-1997).



სისტემატური დესენსიტიზაცია რამდენიმე ეტაპს ანუ ფაზას მოიცავს (Wolpe, 1961 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002). პირველი ფაზა პაციენტის თერაპიული მოთხოვნილებების დეტალურ, დაწვრილებით დიაგნოსტიკას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც დადგენილია, რომ პაციენტის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს სისტემატური დესენსიტიზაციით, თერაპევტი მას რელაქსაციას ასწავლის. დეტალურად არის გაწერილი მთელი პროცედურა იმისათვის, რომ დავეხმაროთ პაციენტს მოადუნოს სხეულის ჯერ ერთი ნაწილი და შემდეგ თანმიმდევრობით ყველა სხვა ნაწილი. თუ დასაწყისში პაციენტები სირთულეებს აწყდებიან კუნთური

დაძაბულობის მოხსნისას, ექვსი სეანსის შემდეგ ადამიანთა უმრავლესობა რამდენიმე წამში ახერხებს მთელი სხეულის მოდუნებას. მკურნალობის შემდეგ ფაზაზე ხდება შფოთვის იერარქიის დადგენა. ეს არის პროცედურა, რომელშიც თერაპევტი ცდილობს, პაციენტისგან მიიღოს სტიმულების ჩამონათვალი, რომლებიც მასში შფოთვას იწვევენ. ეს შფოთვის გამომწვევი სტიმულები თემატურად ჯგუფდება, მაგალითად, სიმაღლის შიში ანდა შიში იმისა, რომ უარყოფენ. თითოეულ თემატურ ჯგუფში გაერთიანებული სტიმულები ლაგდება მათ მიერ გამოწვეული შფოთვის ინტენსივობის კლების მიხედვით – ყველაზე დამანგრეველიდან ყველაზე ნაკლებად შემაშინებლამდე. მაგალითად, კლაუსტროფობიის თემაში (ჩაკეტილი სივრცის შიში) შეიძლება შედიოდეს ლიფტში გაჭედვის შიში (ამით იწყება ჩამონათვალი), მატარებლით მგზავრობის შიში (თავსდება სადღაც ჩამონათვალის შუაში) და შიში, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მიწის ქვეშ ჩარჩენილი მაღაროელების შესახებ კითხულობს (მოთავსებულია ჩამონათვალის ბოლოში). სიკვდილის თემა შეიძლება აერთიანებდეს იმის შიშს, რომ დამარხავენ (შფოთვის გამომწვევი ყველაზე ძლიერი სტიმული), თავად სიტყვა *სიკვდილი*, როგორც საკმაო შფოთვის მატარებელი სტიმული და სასაფლაოს დანახვა, როდესაც მანქანით გვერდით ჩაუვლის, როგორც ყველაზე სუსტი ბიძგი შფოთვისკენ. პაციენტს შეიძლება ბევრი ან მცირე რაოდენობის თემები ჰქონდეს და თითოეულ თემაში ერთიანდებოდეს ბევრი ან ცოტა სახეობის შიში.

იმის შემდეგ, რაც აიგება შფოთვების იერარქია, პაციენტი მზად არის დესენსიტიზაციისთვის. მან უკვე ისწავლა საკუთარი თავის დამშვიდება რელაქსაციის დახმარებით, ხოლო თერაპევტმა დაადგინა შფოთვების იერარქია. ახლა თერაპევტი სთხოვს პაციენტს, რომ მიაღწიოს ღრმა რელაქსაციის მდგომარეობას და შემდეგ წარმოიდგინოს შფოთვათა იერარქიაში ყველაზე სუსტი სტიმული. თუ პაციენტს შეუძლია წარმოსახვაში ამ სტიმულის აღდგენა შფოთვის განცდის გარეშე, მაშინ მას სთხოვენ, წარმოიდგინოს შემდეგი სტიმული იერარქიიდან და, ამასთან, დარჩეს რელაქსირებულ მდგომარეობაში. ხდება რელაქსაციის და შფოთვის გამომწვევი სტიმულის წარმოდგენის რელაქსაციასთან კომბინაციის მონაცვლეობა. თუ პაციენტი სტიმულის წარმოსახვისას გრძნობს შფოთვას, მას სთხოვენ რელაქსირდეს და დაუბრუნდეს შედარებით სუსტი სტიმულის წარმოდგენას. საბოლოოდ ის ახერხებს იერარქიაში მოცემული ყველა სტიმულის წარმოდგენასა და ამავდროულად რელაქსირებული მდგომარეობის შენარჩუნებას. სტიმულების წარმოსახვისას რელაქსირებულობა გენერალიზირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ სტიმულებთან ურთიერთობაზეც. „მყარად არის დადგენილი, რომ თუ რელაქსაციის მდგომარეობის ყოველ ეტაპზე წარმოსახული სტიმულები არ იწვევენ შფოთვას, მაშინ ეს სტიმულები არც მაშინ გამოიწვევენ შფოთვას, როდესაც რეალურად გამოჩნდებიან“ (Wolpe, 1961. P. 191 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002).

მრავალმა კლინიკურმა და ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სისტემატური დესენსიტიზაცია თერაპიის კარგი საშუალება შეიძლება იყოს. ასეთმა წარმატებულმა შედეგებმა ვოლპესა და სხვა მკვლევრებს უბიძგეს, რომ ეჭვ ქვეშ დაეყენებინათ ფსიქოანალიტიკოსების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სანამ ხელუხლებელი რჩება შფოთვის საფუძვლადმდებარე კონფლიქტი, პაციენტი მიდრეკილი იქნება გამქრალი სიმპტომის ნაცვლად ახალი სიმპტომების ფორმირებისკენ (სიმპტომის ჩანაცვლებისკენ) (Lazarus, 1965 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002).

ბიჰევიორალური თერაპიის თანახმად, არც ერთ სიმპტომს არ იწვევს არაცნობიერი კონფლიქტები. ეს მხოლოდ დასწავლილი (ათვისებული) არაადაპტური რეაქციაა და როგორც კი ეს რეაქცია თავიდან არის მოშორებული, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მის ადგილას სხვა არაადაპტური რეაქცია გაჩნდეს.

პატარა ჰანსის შემთხვევის რეინტერპრეტაცია

ვოლპე და რექმენი (Wolpe & Rachmen, 1960 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002) შეეცადნენ კრიტიკულად შეეფასებინათ, ბიჰევიორალური თვალსაზრისით გაეაზრებინათ და თავიანთი ინტერპრეტაცია მოეცათ ფროიდის მიერ აღწერილი ცნობილი შემთხვევისთვის, რომელიც პატარა ჰანსის ცხენების ფობიას ეხებოდა.

პატარა ჰანსის შემთხვევა ფსიქოანალიზის კლასიკაა. ამ მაგალითით ფროიდმა გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვური სექსუალობა და ოიდიპოსის კომპლექსი ცხენების მიმართ ფობიის ანუ შიშის განვითარეაში. ვოლპე და რექმენი მკაცრად აკრიტიკებენ მონაცემების მიღებისადმი ფროიდისეულ მიდგომასა და მის დასკვნებს; კერძოდ, მათი ძირითადი შენიშვნები ასე გამოიყურება:

1. არსად არ არის მითითებული არც ეს დამამტკიცებელ საბუთზე, რომ ჰანსს სურდა დედასთან სქესობრივი კავშირის დამყარება;
2. ჰანსი არასოდეს გამოხატავდა მამისადმი შიშს ან სიძულვილს;
3. ჰანსი მუდმივად უარყოფდა რაიმე კავშირის არსებობას ცხენსა და მამას შორის;
4. ბავშვებში ფობიები შეიძლება წარმოიქმნებოდეს, როგორც მარტივი პირობითი რეფლექსი და სულაც არ არის საჭირო მათი ახსნა კონფლიქტების თეორიით ანდა შფოთვის თეორიითა და მასთან დაკავშირებული დაცვის მექანიზმებით. მოსაზრება, რომ ნევროზებს რაღაც მიზანი აქვღ, უკიდურესად საეჭვოა;
5. არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ჰანსის ფობია გაქრა ოიდიპოსის კომპლექსის გადაჭრის შემდეგ. ანალოგიურად, არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ მოხდა ინსაიტი ან რომ ჰანსის ინფორმირებას რაიმე თერაპიული ღირებულება ჰქონდა.

ვოლპესა და რექმენს გაუჭირდათ ფობიის საკუთარი ინტერპრეტაციის მოცემა, ვინაიდან მონაცემები ფსიქოანალიტური მიდგომის ფორმატით იყო შეგროვილი. თუმცა მათ მაინც სცადეს ამ შემთხვევის ახსნა. ფობია განიხილებოდა, როგორც *შფოთვის პირობითი რეაქცია*. პატარაობაში ჰანსს ესმოდა და ხედავდა, როგორ აფრთხილებდა მის მეგობარს მამა, რომ არ მიახლოვებოდა თეთრ ცხენს, რათა მას არ ეკბინა. ამ შემთხვევამ მოამზადა ნიადაგი ცხენების შიშისთვის (მოხდა ჰანსის სენსიტიზაცია). გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როდესაც ჰანსი დაშავდა და სისხლი წამოუვიდა სათამაშო ცხენით თამაშისას. ბოლოს, ჰანსი მგრძნობიარე ბავშვი იყო და განაწყენდა, როდესაც კარუსელზე დამტვრეული ცხენები ნახა. ამ ფაქტორებმა შექმნეს პირობები შემდგომში ფობიის განვითარებისთვის. თავად ფობია წარმოიქმნა, როგორც შიშის შედეგი, რომელიც ჰანსმა ქუჩაში წაქცეული ცხენის დანახვისას განიცადა. თუ ფროიდი თვლიდა, რომ ეს ინცინდენტი

მხოლოდ საბაბი იყო იმისათვის, რომ შინაგანი კონფლიქტი ფობიის სახით გამოვლენილიყო, ვოლპესა და რექმენს მიაჩნდათ, რომ სწორედ ეს შემთხვევა იქცა ფობიის *ჭეშმარიტ* მიზეზად.

ვოლპემ და რექმენმა აქ დაინახეს მსგავსება უოტსონისეულ ატარა ალბერტთან შიშის განპირობებასთან. ჰანსი შეშინდა იმით, რაც დაემართა ცხენს და შემდეგ გადაიტანა (გენერალიზაცია მოახდინა) თავისი შიში ყველა საგანზე, რომელიც ჰგავდა ცხენს ანდა რამენაირაც უკავშირდებოდა მას. ფობიისგან თავის დაღწევა მოხდა არა ინსაიტის, არამედ – ან ჩაქრობის, ან კონტრგანპირობების შედეგად. ზრდასთან ერთად, ჰანსი ახალი ემოციური რეაქციების გამოცდილებას იძენდა, რომლებიც ამუხრუჭებდნენ შიშის რეაქცია. სხვა ვარიანტის სახით ავტორები გვთავაზობენ ასეთ ახსნას: შესაძლებელია, მამის მხრიდან ცხენის მუდმივი მოხსენიება უსაფრთხო კონტექსტში დაეხმარა ჰანსს შიშის რეაქციის ჩაქრობაში (Первин Л., 2002).

თეორიის შემდგომი განვითარება

ნაშრომთა დიდი ნაწილი კლასიკურ განპირობებაში შედარებით მარტივი რეფლექტორული მექანიზმების კვლევაზე იყო მიმართული, რომლებიც ერთნაირად მოქმედებს ადამიანებსა და ცხოველებში. თუმცა, პავლოვი აღიარებდა მეტყველებისა და აზროვნების უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც მეორად სასიგნალო სისტემას უწოდებდა. მეორადი სასიგნალო სისტემის ცნება სტიმულებისა და რეაქციების უფრო რთული სტრუქტურების გააზრების საშუალებას გვაძლევს. რეზრენისეული (Razran, 1939) სემანტიკური განპირობების კვლევა ამ ცნების მნიშვნელოვნების ილუსტრაციას წარმოადგენს. ამ კვლევაში ცდის პირები ადამიანები იყვნენ. რეზრენი ცდის პირებს ერთდროულად აწოდებდა დაწერილ (ვიზუალიზირებულ) სიტყვებს *სტილი, ურნა, ყინვა, მოქცევა* და განმამტკიცებელს საკვების სახით, რასაც სიტყვებზე ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსის გამომუშავება სდევდა თან. შემდეგ ამოწმებდა, განზოგადდებოდა თუ არა ეს პირობითი რეფლექსი ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვებზე[12] ანდა იმ სიტყვებზე, რომლებიც განსხვავებულად ჟღერს, მაგრამ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.[13] რა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი – გენერალიზაცია ჟღერადობაზე თუ სიტყვის მნიშვნელობაზე? რეზრენმა აღმოაჩინა, რომ პირობითი რეფლექსების გენერალიზაცია სიტყვების აზრის შემთხვევაში უფრო გამოკვეთილია, რაც გვაფიქრებინებს, რომ პირობითი რეფლექსების ფორმირებაზე შეიძლება მოქმედებდეს სიტყვის სემანტიკა ანუ მნიშვნელობა. თავად პავლოვი შედარებით ნაკლებად იყო დაკავებული მეორადი სასიგნალო სისტემის შესწავლით, თუმცა ეს მიმართულება დიდხანს იყი რუსული ფსიქოლოგიის პრიორიტეტული საკვლევი მიმართულება, განპირობების პროცესზე მოქმედი ფაქტორების ასაკობრივი ცვლილებების კვლევის ჩათვლით.

პირობითი ემოციური რეაქციებისა და მეორადი სასიგნალო სისტემის ცნებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს წარმოდგენები ადამიანის ქცევაში რეფლექსის კლასიკური განპიროების როლის შესახებ. მაგალითად, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანები პოზიტიური და ნეგატიური გრძნობების

[12] Style (სტილი) – stile (ტურნიკეტი), urn (ურნა) – earn (გამომუშავება), freeze (ყინვა) – frieze (ბორდიური), surf (მოქცევა) – serf (მონა).

[13] სტილი – მოდა (fashion), ურნა – ლარნაკი (vase), ყინვა – სიცივე (chill), მოქცევა – ტალღა (wave).

სტიმულებთან (სიმბოლოების ჩათვლით) დაკავშირები გზით დაისწავლიან მიზნებსა და მოტივებს (Pervin, 1983 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002).

ინტერესი კლასიკური პირობითი რეფლექსისადმი გარკვეული პერიოდით გაქრა პიროვნების ფსიქოლოგიაში, თუმცა ბოლო პერიოდში იმატა კლასიკური განპირობების თეორიასთან დაკავშირებული ცნებებისა და მეთოდოლოგიური პროცედურების პოტენციური ღირებულების გაცნობიერებამ. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კლასიკური განპირობების პროცედურების გამოყენება იმის საჩვენებლად, რომ ადამიანებს შეუძლიათ, არაცნობიერად განავითარონ შიშები და დამოკიდებულებები გარშემომყოფებისადმი (Ohman & Soares, 1993 ციტირებულია წყაროში Первин Л., 2002). მაგალითად, დადებითი ან უარყოფითი ემოციების გამომწვევი ფოტოს მიწოდება შესაძლებელია ქვეზღურბლოვან დონეზე (ანუ გაცნობიერების ზღურბლს ქვემოთ) სხვა სტიმულთან, მაგალითად, სხვა სრულიად უწყინარ ფოტოსთან, კომბინაციაში. შედეგად ადამიანს აღარ მოეწოდება ეს მეორე ფოტო, თუ ის არაცნობიერად ასოცირდება ნეგატიურ ეემოციებთან და, პირიქით, მოეწონება, თუ ის არაცნობიერად პოზიტიურ ემოციებს დაუკავშირდება.

საინტერესოა, რომ თუ პირობითი რეფლექსების გენერალიზირება იოლად ხდება სხვა კონტექსტებზეც, მათი ჩაქრობა ძალზე მყარად არის მიბმული კონტექსტზე. ასე მაგალითად, შეიძლება დავისწავლოთ შიში და ზიზღი ერთ კონტექსტში და ეს გრძნობები მარტივად გავრცელდეს სხვა უამრავ სიტუაციაზე, მაგრამ ზოგიერთი რეაქციის ჩაქრობა ერთ კონტექსტში არ ნიშნავს, რომ ეს ისეთივე წარმატებით ჩაქრება სხვა სიტუაციებშიც. ადამიანმა, რომელმაც ერთ კონტექსტში დაისწავლა ძალაუფლების მქონე ფიგურების შიში, შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ეს შიში სხვა კონტექსტებზეც გავრცელდა. თუმცა, თუ ის ამ შიშისგან თავს დააღწევს ერთ კონტექსტში, მან შეიძლება გაოცებულმა აღმოაჩინოს, რომ შიში შენარჩუნდა სხვა კონტექსტებში. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ფართოდ გენერალიზირებული პირობითი არაადაპტური რეაქციების ჩაქრობა (რაც ფსიქოთერაპიის მიზანს წარმოადგენს) შეიძლება ერთობ რთულ საქმედ იქცეს.

თანამედროვე კვლევებში კლასიკური განპირობების გამოყენების კიდევ ერთ მცდელობას იმ პირობითი რეფლექსების შესწავლა წარმოადგენს, რომლებიც ჯანმთელობას უკავშირდება (მაგალითისთვის იხ. Ader & Cohen, 1993). მაგალითად, კიბოთი დაავადებულ ადამიანებს, რომლებსაც არაეთხელ უწევთ ქიმიოთერაპიის გავლა, ხშირად იმუშავებენ გულისრევის შეგრძნებისა და გულისრევის კლასიკურ პირობით რეაქციას. გულისრევის შეგრძნება და გულისრევა თავდაპირველად ჩნდება, როგორც ქიმიოთერაპიის *შედეგი*, ხოლო შემდგომში პირობით რეაქციად იქცევა იმ სტიმულებზე, რომლებიც ქიმიოთერაპიასთან ასოცირდება. აქ შეინიშნება წინმსწრები გულისრევის შეგრძნება და გულისრევა, ზუსტად ისევე, როგორც პავლოვის ძაღლის შემთხვევაში.[14]

ამ სფეროდან კიდევ ერთი მაგალითია იმუნური სისტემის კლასიკური განპირობების კვლევა. აქ დგება საკითხი: შესაძლებელია თუ არა ორგანიზმის უპირობო დაცვითი რეაქციები ავადმყოფობის წინააღმდეგ

[14] გავიხსენოთ, რომ ძაღლი საკვებით სტიმულაციამდე გაგონილი ზარის ხმაზე გამოყოფდა ნერწყვს.

რაიმე სხვა სტიმულებით იქნას განპირობებული. არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს შესაძლებელია; რაც, თავის მხრივ, ზრდის ორგანიზმის იმუნური სისტემის მოქმედების გაუმჯობესების მიზნით კლასიკური უპირობო რეფლექსის პრაქტიკული გამოყენების პოტენციალს. ამრიგად, კლასიკური განპირობების პროცედურები გამოიყენება სოციალური ქცევისა და ორგანიზმის ჯანმრთელი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ასპექტების საკვლევად.

Bibliography

Первин Л., Д. О. (2002). *Психология личности, теория и исследования.* Moscow: изд. Прогресс.

Фрейджер, Р. Ф. (2001). *Личность: теории, эксперименты, упражнения. .* Москва: изд. ОЛМА-ПРЕСС.

გერიგი, ზ. ფ. (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

იმედაძე, ი. (2004). *XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები.* თბილისი: გამომცემლობა "ენა და კულტურა".